საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4241
08/08/2022

4241-21-2-202208081751

**შპს „ხონის პლანტაციებს“**
**მის:** ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქუტირი
**ელ. ფოსტა:** aniomiadze@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3229 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქუტირში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის (განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები) გათვალისწინებით;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს წყალაღებისათვის გათვალისწინებული ტუმბოების წარმადობები, შესაბამისი განთავსების წერტილის GPS კოორდინატების მითითებით. ამასთან, განცხადებაში მოცემულია, რომ „გამოყენებული ელექტრო ტუმბოების მცირე სიმძლავრის გამო არ არსებობს გარემოზე ვიბრაციით და ხმაურით ზემოქმედების საფრთხე“, თუმცა გათვალისწინებული არ არის სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე წყალაღებისთვის გათვალისწინებული ტუმბოების მუშაობის შედეგად, ტუმბოების განთავსების წერტილიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ მდინარიდან აღებული წყალი 7 მ სიგრძის მქონე (დიამეტრი 30 სმ) მილით თვითდინებით გადავა მაგისტრალურ მილსადენში, საიდანაც გადავა გამანაწილებელ მილსადენში რომლის დიამეტრიც სექტორების მიხედვით სხვადასხვა ზომისაა (63 - 90 მმ). გამანაწილებელი მილსადენიდან წყალი ნაწილდება სარწყავ მილსადენებში (დიამეტრი 12-25 მმ), რომლებშიც ჩამონტაჟებულია საწვეთურები. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მაგისტრალური და გამანაწილებელი მილსადენის სიგრძე;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთებს ესაზღვრება სახელმწიფო ტყე. დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს

სამელიორაციო სისტემის მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო